თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 16

ქ.თელავი 21. 11. 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **იოსებ პარწიკანაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.** მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის შვებულების შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით, მისაღებია

ვინაიდან იგი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის და საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის„ მოთხოვნათა დაცვით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის ხარჯვითი ნაწილი არ ითვალისწინებს თანხას კვალიფიციური კვლევითი ორგანიზაციისთვის, კვლევის დაკვეთისთვის. აღნიშნული კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაში, კერძოდ მუნიციპალური სერვისებისა და სოციალური პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

მოსაზრებას მხარი დაუჭირა კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერს გაეგზავნოს რეკომენდაცია, 2019 წლის ბიუჯეტის ნაშთიდან, განსაზღვროს თანხა კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის შვებულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ ამა წლის 2 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით გადის კუთვნილ შვებულებაში და მის მოვალეობას შეასრულებს ამავე კომისიის წევრი საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო- საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის შვებულების შესახებ წარედგინოს საკრებულოს ცნობად.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**